

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2010 წლის 10 მაისის

№251 დადგენილება

სტუ-ს ახალი გერბის და  
დროშის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გერბისა და დროშის წარმოდგენილი გრაფიკული ვარიანტები.

უნივერსიტეტის გერბი წარმოადგენს ფარს, რომლის არქიტექტონიკაში ძირითადი ადგილი უჭირავს ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ, ძველი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნის II ნახევრით დათარიღებულ, ქართული საინჟინრო აზროვნების – მხატვრული სამსხმელო წარმოების ნიმუშს ბრინჯაოს არწივის გამოსახულებას. ფარს ზემოთ გვირგვინად ადგას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აბრევიატურა „სტუ“, რომელშიც ჩაწნულია ფარზე განფენილი ბაფთა უნივერსიტეტის დევიზით „ცოდნა ძალაა“ ლათინურ ენაზე “Scientia potestas est“. ფარზე არწივის ქვემოთ განთავსებულია უნივერსიტეტის დასახელება ქართულ და ლათინურ ენებზე, შესაბამისად: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ და “GEORGIAE UNIVERSITAS RERUM TECHNICI“. ფარზე კომპოზიციას ამთავრებს უნივერსიტეტის დაარსების წელი „1922“, და ზეთისხილის ტოტები როგორც სიმბოლო სიბრძნისა და განახლებისა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, გვერდების თანაფარდობით 2:3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა მუქი წითელი ფერის ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავების გადაკვეთაზე მოთავსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გერბი. დროშის სიმბოლურ- აზრობრივ გადაწყვეტას

საფუძვლად უდევს საქართველოს სახელმწიფო დროშის ძირითადი კომპოზიცია. სტუ-ს დროშაზე ნაჩვენებია ყველა ფერი, ჰერალდიკის კანონების მიხედვით, შეიცავს გარკვეულ მნიშვნელობას: **თეთრი** – უმანკობას, უბიწოებას, სიწმინდეს, სიბრძნეს; **ყვითელი (ოქროსფერი)** – განათლებას, კეთილდღეობას, სიმდიდრეს და ღიდებას; **მუქი წითელი** – სიმამაცეს, ვაჟკაცობას, სამართლიანობას და სიყვარულს.

2. საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის გერბის და დროშის მოწონებული ვარიანტი დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე